შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მარნეული

2023 წ.

მუხლი 1.

1. წინამდებარე ხარისხის უზრუნვლყოფის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მომქმედი კანონმდებლობისა და განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.
2. წინამდებარე მექანიზმების შემუშავების მიზანია შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

მუხლი 2.

1. კოლეჯში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულელები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის ადმინისტრაციის, სტრუქტურული ერთეულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების პროფესიული განვითარების და სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატურ შეფასებას.
3. ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა.
4. გარე შეფასება გულისხმობს ავტორიზაციის პროცესში მიღებულ შეფასებებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
5. ხარისხის სისტემატურ შიდა შეფასებას კოლეჯში უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6. დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA მიდგომას:



P – Plan - დგეგმე;

D – Do - განახორციელე;

C – Check - შეამოწმე;

A – Act - განავითარე .

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

P – Plan - დაგეგმე-ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

D – Do - განახორციელე - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და გასაუმჯობესებელი საკითხების წინ წამოწევას. შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს: სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს; პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, კურსდამთავრებულის, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლის ანონიმურ გამოკითხვას- სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების ხარისხის, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების გამოკვლევის მიზნით.

C – Check - შეამოწმე - განხორციელებული ქმედებების შემოწმება, ცვლილებების შედეგად მიღებული შედეგების შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება; ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება; სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირება, მათი შეგროვება და ანალიზი; გამოკითხვის შედეგების რეკომენდაციების შემუშავება და სხვა.

A – Act - განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების წარდგენას. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მუხლი 3.

1. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის სისტემატურ სრულყოფას, კოლეჯის სასწავლო და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის, აგრეთვე კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებია:
   2.1. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი გარე სტანდარტების მოთხოვნათა ინტერპრეტაცია და პერსონალის კონსულტირება ამ საკითხებში;
   2.2.ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც პროცესის დაგეგმვა;

2.3. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მონიტორინგი, საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირება, მათი შეგროვება, ანალიზი, ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა დირექტორის მოადგილისათვის (სასწავლო დარგში)

2.4.კოლეჯში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება;

2.5. კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურეობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირის, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გაწეული მომსახურეობის, მათ შორის სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

2.6. ამოღებულია 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N 00006721

2.7. ამოღებულია 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N 00006721

2.8. სტანდარტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციების/სამოქმედო გეგმის შემუშავება;

2.9.ამოღებულია 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N 00006721

2.10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირების მონიტორინგის პერიოდული განხორციელება და მათი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

2.11. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

2.12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯში მიმდინარე პროცესების შეფასების მიზნით პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის შედეგების სასწავლო პერსონალთან ერთად გაანალიზების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

2.13.კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის/ცვლილებების/ განხორციელების/ანგარიშგების პროცესში მონაწილეობა, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

2.14. ამოღებულია 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება N 00006721

2.15.კოლეჯის სტუდენტთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

2.16.შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა;

2.17.მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით კოლეჯის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციის წარდგენა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე.

2.18. დირექტორის მოადგილისათვის (სასწავლო დარგში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა/შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პროგრამების წარდგენა;

2.19.კომპეტენციის ფარგლებში დოკუმენტების, ინსტრუქციების, წესების შემუშავება/ განახლების ინიცირება;

2.20. კოლეჯის დირექტორთან, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან ერთად პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების შერჩევის პროცესში მონაწილეობა;.
2.21. კომპეტენციის ფარგლებში შემოსულ კორესპონდენციის გაცნობა, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პასუხების მომზადება;
2.22.კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა.

მუხლი 4.

1. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა აღნიშნულ პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელსაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
4. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ადგენს ანგარიშს, რომელშიც გაწერილია არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზები.
5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში წარედგინება დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში).
6. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.
7. სასწავლო პროცესისა და პროგრამის განხორციელების შეფასებას გარდა შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვით.
8. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები სასწავლო წლის პერიოდში ერთხელ, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, ავსებენ კითხვარს. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე წარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების განხორციელება არსებული რეგულაციების შესაბამისად.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება, აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კალენდარულ გეგმაში მითითებული შენიშვნების ანალიზით.
10. კოლეჯში გარკვეული პერიოდულობით (პერიოდულობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) იგეგმება შეხვედრები პროფესიული განათლების

მასწავლებლებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან. აღნიშნულ შეხვედრათა მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში და მათ შემდგომ განვითარებაში.

მუხლი 5.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს წარმოადგენს შუალედური შეფასება.
2. შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით კოლეჯს ეძლევა უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები;
3. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ერთვება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
4. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;
5. საკითხები შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მუხლით, რეგულირდება შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით.
6. სასწავლო პროცესის შეფასების მიმართულებით, ხარისხის კიდევ ერთი მექანიზმია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც დეტალურად არის გაწერილი შეფასების სისტემის მარეგულირებელ წესში

მუხლი 6.

1. სწავლის პერიოდში კოლეჯის მიერ შეთავაზებული რესურსებითა და სერვისებით კმაყოფილების შესწავლის მიზნით წარმოებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა, გამოკითხვა. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოიყენება კვლევის რაოდენობრივი მეთოდი.
2. რაოდენობრივი კვლევისათვის მონაცემების მოპოვების გზად შერჩეულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა ონლაინ გამოკითხვა “Google Forms” პლატფორმის გამოყენებით.
3. კმაყოფილებისა და ურთიერთთანამშრომლობის კვლევის მიზნით წარმოებს პარტნიორთა/დამსაქმებელთა გამოკითხვა.
4. გამოკითხვის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს ელექტრონულ ფოსტაზე/მესენჯერში/ჩათში გადაეგზავნება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული.
5. გულახდილი პასუხების მიღებისა და, შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების სანდოობის ამაღლების მიზნით, გამოკითხვა ანონიმურია და თითოეული რესპონდენტი ინფორმირებული იქნება კონფიდენციალობის მკაცრი დაცულობის თაობაზე.
6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, კურსდამთავრებულის მონაწილეობა გამოკითხვებში ნებაყოფლობითია.
7. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ანკეტები,რომლებიც შედგება რამდენიმე თემატური ბლოკისგან.

8. კითხვარები მოიცავს როგორც, ე.წ. ”დახურულ კითხვებს”, სადაც წინასწარ მოცემულია სავარაუდო პასუხები, ასევე „ღია კითხვებს“, სადაც რესპოდენტს შესაძლებლობა ექნება ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები კითხვასთან დაკავშირებით.
9. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს ამუშავებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
10. კურსდამთავრებულთა კვლევა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ.
11. კურსდამთავრებულების გამოკითხვის მიზანია კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა რომლის საფუძველზე გადაიხედება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნები.
12. ჩატარებული კვლევის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნაში უნდა აისახოს სათანადო რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები და რეაგირებისათვის წარედგინოს დირექტორის მოადგილისათვის (სასწავლო დარგში).
13. დასკვნის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება სათანადო პროცესების ინიცირება, რაც მიმართულია პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის გაუმჯობესებაზე.

მუხლი 7.

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის კვალიფიკაცია ფასდება მისი სწავლებისა და პროფესიული გამოცდილების კომპეტენციით.
2. სწავლების კომპეტენცია:
   2.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის უპირველესი დანიშნულება პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელისათვის ცოდნის გადაცემაა. სწავლების ხარისხის დადგენისათვის რეკომენდირებულია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:
      2.1.1. სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი;
      2.1.2. უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი;
      2.1.3. სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ადმინისტრაციული მოვალეობები.
3. სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის გამოიყენება დასწრება მეცადინეობებზე და შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ.
4. დარგობრივი კომპეტენცია : საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა, დარგობრივი სფეროს ადგილი სხვა დისციპლინებთან მიმართებაში და სხვა;
5. ხარისხის მართვის აუცილებელი ელემენტია კოლეჯის მუშაობაში მონაწილე ყველა მხარის აზრის და დამოკიდებულებების კვლევა.
6. გამოკითხვის ობიექტებად მოიაზრება:
   6.1. პროფესიული სტუდენტები;
   6.2. მსმენელი;
   6.3. სასწავლო პერსონალი
   6.4. დამსაქმებლები
   6.5.კურსდამთავრებულები

მუხლი 8.

1.პერსონალის საქმიანობის შეფასება საშუალებას აძლევს კოლეჯში დასაქმებულ ყველა პირს, ეფექტურად განახორციელოს საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები.
2.პერსონალის საქმიანობის შეფასება ხელს უწყობს, როგორც თანამშრომელთა მიერ მიზნებისა და ამოცანების შემუშავებას, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან თანამშრობლობის საქმიანობის შეფასებას.
3.პერსონალის შეფასების მთავარი მიზნებია:

3.1.პერსონალის საჭიროებების, სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება;
3.2.პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობების გამოვლენა და ხელის შეწყობა შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის;
3.3.პერსონალის საქმიანობის შეფასება სწავლებისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;
3.4.სირთულეების იდენტიფიცირება პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში;

4.კოლეჯში დასაქმებული ფასდება წელიწადში ერთხელ. (სასურველია, შესაფასებელი დასაქმებული სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდეს მინიმუმ სამი თვე) შეფასება მიმდინარეობს მაქსიმუმ ორი კვირის მანძილზე.
5.შეფასების პროცედურების ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.
6.შეფასება შესაძლებელია გახდეს პერსონალის დაწინაურების, წახალისების, გადაყვანის, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი.
7.შეფასების შედეგების შესაბამისად შესაძლებელია განისაზღვროს პერსონალის შემდგომი წახალისების ფორმები:

- ✓ ანაზღაურების მომატება;
- ✓ დაწინაურება;
- ✓ პრემირება;
- ✓ სხვადასხვა სარგებელი.

8.პერსონალის შეფასების არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს ისეთი ქმედებები, როგორიცაა: გადამზადება, დაქვეითება, განთავისუფლება.
9. პერსონალის განვითარების გეგმა წარმოადგენს სამუშაოს შესრულების მართვის განუყოფელ ნაწილს, სადაც აისახება პერსონალის განსავითარებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.
10.პერსონალის განვითარების გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ რა პერიოდში უნდა განხორციელდეს დასაქმებულის ცოდნის უნარის ან კომპენტენციის განვითარებაზე ზრუნვა;
- ✓ რა აქტივობებია დასაგეგმი პერსონალის განვითარებისთვის;
- ✓ რამდენად არის საკმარისი დაწესებულების ფინანსური რესურსი ზემოაღნიშნულ აქტივობათა განსახორციელებლად.

11. კოლეჯში აგრეთვე გამოიყენება ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლებლის მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების კმაყოფილების კვლევა.
12. კმაყოფილების კვლევისას, კვლევის შედეგების ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი ახორციელებს თანამშრომელთა ანონიმურობის დაცვას.
13. კვლევის შედეგის ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

1. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
2. წინამდებარე წესში ცვლილებები და/ან დამატებები ხორცილდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. წინამდებარე წესის დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

დანართი 1-კითხვარი პროფესიული სტუდენტებისათვის
დანართი 2-პროფესიული მასწავლებლის კითხვარი
დანართი 3-პროფესიული მასწავლებლის შეფასების კითხვარი სტუდენტების მეირ
დანართი 4-პერსონალის შეფასების კითხვარი
დანართი 5-პერსონალის კმაყოფილების კვლევა
დანართი 6-პარტნიორის/დამსაქმებლის კითხვარი
დანართი 7-კურსდამთავრებულების კითხვარი

დანართ 1

კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის

ზოგადი ინფორმაცია

1. ასაკი
   ა) 14-20
   ბ) 21-30
   გ) 31-40
   დ) 41-50
   ე) 50+
2. სქესი
   ა) მდედრობითი
   ბ) მამრობითი
3. რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ?
   ა) საექთნო განათლება
   ბ) აღმზრდელი
   გ) საფინანსო სერვისები
   დ) ინფორმაციის ტექნოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

1. სწავლის დაწყებისას გამაცნეს პროგრამის მიზნები?
   ა) დიახ
   ბ)არა
2. პროგრამის მიზნები, რაზეც ვსწავლობ, ითვალისწინებს სტუდენტის მომზადებას დასაქმებისთვის
   ა) დიახ
   ბ)არა
   გ) ნაწილობრივ
3. პროგრამა მაძლევს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას
   ა) დიახ
   ბ)არა
4. პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე
   ა) დიახ
   ბ)არა
   გ) ნაწილობრივ
5. მიმაჩნია, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი კოლეჯის ბაზაზე თანაბრად ხელმისაწვდომი და საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა სტუდენტისთვის
   ა) დიახ

ბ) არა
გ) ნაწილობრივ

6. მიმაჩნია, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი პრაქტიკის ობიექტზე თანაბრად ხელმისაწვდომი და საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა სტუდენტისთვის
   ა) დიახ
   ბ) არა
   გ) ნაწილობრივ
7. პროგრამის მოდულები კავშირშია ჩემს მომავალ საქმიანობასთან
   ა) სრულად ვეთანხმები
   ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
   გ) არ ვეთანხმები
8. სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე/მრავალფეროვანი მეთოდები
   ა) დიახ
   ბ) არა
   გ) ნაწილობრივ
9. შეფასების პროცესში ყველა სტუდენტი თანაბარ პირობებში იყო?
   ა) დიახ
   ბ)არა
   გ) ნაწილობრივ
10. შეფასების პროცესი სამართლიანად, გამჭვირვალედ და ობიექტურად მიმდინარეობს
    ა) დიახ
    ბ)არა
    გ) ნაწილობრივ
11. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას/განხორციელებისას, კოლეჯი შესაძლებლობის ფარგლებში, ითვალისწინებს ჩემი ან/და სხვა სტუდენტების ინიციატივებს/ საჭიროებებს
    ა) დიახ
    ბ)არა
    გ) ნაწილობრივ
12. ვიცი, რომ საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია ვისარგებლო ჩემზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით
    ა) დიახ
    ბ)არა
    გ) ნაწილობრივ
13. თქვენი ჩართულობა სასწავლო პროცესში
    ა) ყოველ ლექციაზე ვესწრები
    ბ) ხშირად ვესწრები
    გ) ზოგჯერ ვესწრები
    დ) იშვიათად ვესწრები
    ე) საერთოდ არ ვესწრები

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უსაფრთხოება, საბიბლიოთეკო რესურსები) შეფასება

1. რამდენად აკმაყოფილებს ბიბლიოთეკაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი რესურსი თქვენს მოთხოვნებს

- სახელმძღვანელოები
- კომპიუტერული ტექნიკა
- სამუშაო სივრცე
- ელექტრონული რესურსები

1 - სრულად არასაკმარისია
2 - ნაწილობრივ საკმარისია
3 - სრულად საკმარისია

2. რა სახის ლიტერატურის დამატებას ისურვებდით ბიბლიოთეკაში?
   ---
3. ვიცნობ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და შემიძლია ვისარგებლო ბიბლიოთეკით
   ა) სრულად ვეთანხმები
   ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
   გ) არ ვეთანხმე
4. 4. კოლეჯის ბიბლიოთეკარი მუდამ მზად არის დასახმარებლად
   ა) დიახ
   ბ) არა
5. როგორ შეაფასებდით სასწავლო აუდიტორიების (A,B, C გარემო) ხელმისაწვდომობას და მათ შესაბამისობას სასწავლო პროცესის საჭიროებებთან. (შეაფასეთ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 - ძალიან კარგი)

1	2	3	4	5

6. კოლეჯში უზრუნველყოფილია კარგი ხარისხის ინტერნეტი და კომპიუტერულ რესურსებზე (კომპიუტერი/პრინტერის/ქსეროქსის აპარატი) ხელმისაწვდომობა
   ა) დიახ
   ბ)არა
   გ) ნაწილობრივ
7. კოლეჯში გვყავს ექიმი/ექთანი, რომელსაც შემიძლია ნებისმიერ დროს მივმართო
   ა) დიახ
   ბ)არა
   გ) ნაწილობრივ
8. გვიტარდება ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით
   ა) დიახ
   ბ)არა
   გ) ნაწილობრივ
   დ) სხვა
9. რამდენად კარგად იცნობთ კოლეჯის უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს ?
   ა) სრულად ვიცნობ კოლეჯის უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს
   ბ) ნაწილობრივ ვიცნობ კოლეჯის უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს
   გ) სრულად არ ვიცნობ კოლეჯის უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს
10. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ჩემთვის ხელმისაწვდომია როგორც სწავლის პროცესში, ასევე არასაგაკვეთილო პერიოდში დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებისთვის
    ა) დიახ
    ბ)არა

გ) ნაწილობრივ

11. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს ჩემს საჭიროებებს
    ა) დიახ
    ბ)არა
    გ) ნაწილობრივ
12. გრძნობთ თუ არა კოლეჯში თავს უსაფრთხოდ და დაცულად
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
13. კოლეჯის აუდიტორიები/შენობა ყოველთვის სუფთაა და მოწესრიგებული
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
14. კოლეჯის სველი წერტილები ყოველთვის მოწესრიგებულია
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ)ნაწილობრივ
15. კოლეჯის ჰიგიენური პირობები აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
16. ცენტრალური გათბობის სისტემა უზრუნველყოფს შენობის გათბობას
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
17. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე დაცულია წესრიგი და მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, რის შესახებაც ინფორმირებული ვარ.
    ა) დიახ
    ბ) არა

ადმინისტრაციის გაწეული მხარდაჭერის შეფასება

1. ჩატარდა თუ არა საინფორმაციო შეხვედრა კოლეჯში ჩარიცხვისას?
    ა) დიახ
    ბ) არა
2. რისი გაცნობა მოხდა საინფორმაციო შეხვედრაზე?
    ა)კოლეჯის ვებგვერდის
    ბ) კოლეჯის მისია, მიზანი, ღირებულებების
    გ) სტუდენტის უფლება-ვალდებულებების
    დ) შეფასების სისტემის
    ე) პრაქტიკის ობიექტების, რომელთანაც კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული
    ვ) კოლეჯში არსებული პროგრამის მიზნების
    დ) სხვა
3. ვიცი, სად შეიძლება ვნახო დოკუმენტები, სადაც გაწერილია ჩემი უფლებები
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ

4. რამდენად დაცულია თქვენი უფლებები კოლეჯში?
   ა) სრულად დაცულია
   ბ) ნაწილობრივ დაცულია
   გ) არ არის დაცული
5. ჩართული ვიყავი კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
6. ვიცი, სად შემიძლია ვნახო კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები
   ა) დიახ
   ბ) არა
7. ჩართული ვიყავი კოლეჯის სტრატეგიული ან/და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
8. სწავლის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯისგან ვიღებ შესაბამის კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
9. კოლეჯში მისვლის დროს, გამაცნეს და დამეხმარნენ სასწავლო გარემოსთან შეგუებაში
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
10. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი გონივრულ/მისაღებ ვადაში მაწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას/ დოკუმენტაციას
    ა) დიახ
    ბ) ნაწილობრივ
    გ) არა
11. როგორ შეაფასებდით ადმინისტრაციასთან ურთიერთობას? შეაფასეთ 1-დან 3-მდე სკლაზე, სადაც 1 არის ცუდი, ხოლო 3 - კარგი
    ა) ადმინისტრაციის ხელმისაწვდომობა
    ბ) პრობლემების გადაჭრის სისწრაფე
    გ) კომუნიკაციის სიმარტივე
12. როგორ იღებთ ინფორმაციას კოლეჯისგან და რა საშუალებებით ურთიერთობთ ადმინისტრაციასთან/პერსონალთან? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)
    ა) მეილით
    ბ)ტელეფონით
    გ)Facebook ჯგუფით
    დ) whatsapp ჯგუფებით
13. მაქვს შესაძლებლობა კოლეჯს მივცე უკუკავშირი/ინიციატივა, რაც შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია მომსახურეობის გასაუმჯობესებლად

ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

14. კოლეჯის კატალოგი, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, მაძლევს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და აქტივობების შესახებ
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
15. იღებთ თუ არა ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსების/პროექტების/კონფერენციების შესახებ? (დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ საიდან იღებთ ინფორმაციას)
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების (მათ შორის, ექსტრაკულიკულური აქტივობების, მათგან წამოსული ინიციატივების მხარდაჭერის, კარიერული (მათ შორის დასაქმების მაჩვნებელის) და პროფორიენტაციული სერვისების მხარდაჭერა) შეფასება

1. ტარდება თუ არა კოლეჯში სტუდენტური ღონისძიებები ან ინტელექტუალური, შემოქმედებითი/სპორტული აქტივობები?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
2. ინფორმირებული ხართ თუ არა კოლეჯში დაგეგმილი სტუდენტური ღონისძიებების შესახებ?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
3. მიგიმართავთ თუ არა რაიმე ინიციატივით ადმინისტრაციისთვის? იყო თუ არა რეაგირება მათი მხრიდან?

---

4. მიგიმართიათ თუ არა საზოგადოებასთან ურთიერთობის, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერისთვის?
ა) დიახ
ბ) არა, მაგრამ ვაპირებ მიმართვას
გ) არა, არ მიმართავს და არ ვაპირებ
დ) არვიცი ვინ არის საზოგადოებასთან ურთიერთობის, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი
5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა ტიპის კარიერული კონსულტაცია მიგიღიათ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერისგან?
ა) ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გაზიარება
ბ) CV-ს და სამოტივაციო წერილის შედგენაში დახმარება
გ) დასაქმების ფორუმებზე დასწრების შესაძლებლობა
დ) ინდივიდუალური კარიერული კონსულტაცია
ე) სტაჟირების პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა
ვ) დამსაქმებლებთან დაკავშირებაში დახმარება
ზ) არ ვიღებ კონსულტაციას

6. ახორციელებს თუ არა კოლეჯი დასაქმებისთვის ხელისშემწყობ ღონისძიებებს?
   ა) დიახ
   ბ) არა
7. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა დასაქმების ფორუმებში?
   ა) დიახ
   ბ) არა
8. ტარდება თუ არა კოლეჯში ტრენინგები?
   ა) დიახ
   ბ) არა
9. ხართ თუ არა დასაქმებული ?
   ა) დიახ, პროფესიით, რაზეც კოლეჯში ვსწავლობ
   ბ) დიახ, სხვა პროფესიით
   გ) თვითდასაქმებული პროფესიით, რაზეც კოლეჯში ვსწავლობ
   დ) თვითდასაქმებული სხვა პროფესიით
   ე) არა
   ვ) სხვა: _____
10. რისი გაუმჯობესება გსურთ კოლეჯში?

_____

_____

დანართი 2

პროფესიული მასწავლებლის კითხვარი

1. გთხოვთ მიუთითოთ:
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____
2. რამდენად იცნობთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც თქვენ ასწავლით მოდულს/მოდულებს?

   ა)სრულად ვიცნობ
   ბ)ნაწილობრივ ვიცნობ
   გ)მხოლოდ ჩემს მოდულს ვიცნობ
3. პროგრამის სტრუქტურის შეფასება:
   - სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის დალაგებული
   - მოდულების თანმიმდევრობა სწორად არის განსაზღვრული
   - მონაწილეობა მივიღე სასწავლო გეგმის შემუშავებაში
     ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ
4. ეთანხმებით თუ არა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს:
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
5. თქვენი აზრით, შეესაბამება თუ არა პროგრამის შინაარსი სწავლის შედეგებს
   ა) დიახ
   ბ) ნაწილობრივ
   გ) არა
6. გქონიათ თუ არა მსგავსი მოდულის განხორციელების გამოცდილება?
   ა)დიახ
   ბ)არა
7. როგორ შეაფასებთ მოდულის სტრუქტურას?
   ა) კარგი
   ბ) საშუალო
   გ) ცუდი
8. რამდენად დაბალანსებულია მოდულში პრაქტიკული და თეორიული სწავლების კომპონენტები
   ა) სრულად დაბალანსებულია
   ბ) ნაწილობრივ დაბალანსებულია
   გ) არ არის დაბალანსებული
9. თუ ფიქრობთ რომ მოდულში არ არის დაბალანსებული პრაქტიკული და თეორიული სწავლების კომპონენტები, რატომ ფიქრობთ ასე და რას შეცვლიდით? ან თუ შეგიცვლიათ ?
   ----
10. შეადგინეთ თუ არა კალენდარული გეგმა მოდულის დაწყებამდე? (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ მიზეზი)
   ა)დიახ
   ბ)არა

გ)ნაწილობრივ

11. მოდულის განხორციელებისას ზუსტად იცავთ თუ არა კალენდარულ გეგმას?
    ა) დიახ
    ბ) არა
12. წინა კითხვაზე „არა“ პასუხის მონიშვნის შემთხვევაში რამ განაპირობა კალენდარულ გეგმაში ცვლილების შეტანის მიზეზი?
    ---
13. მოდულის თემატიკა მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისია
    ა) დიახ
    ბ) არა
14. შეაფასეთ ქვემოთ მოცემული საკითხები:

- მოდულები, რომელსაც მე ვახორციელებ, იგეგმება და მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად
- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

    ა) სრულად ვეთანხმები
    ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
    გ) არ ვეთანხმები
15. აუდიტორია იმგვარადაა შერჩეული, რომ შესაძლებელია პროგრამით განსაზღვრულ ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა
    ა) სრულად ვეთანხმები
    ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
    გ) არ ვეთანხმები
16. კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის საკმარისი აუდიტორიები
    ა)დიახ
    ბ)არა
    გ)ნაწილობრივ
17. გთხოვთ შეაფასოთ შემდეგი საკითხები:

- კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის
- დაწესებულების ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული ან/და მატერიალური სახით

    ა) სრულად ვეთანხმები
    ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
    გ) არ ვეთანხმები
18. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
    დ) სხვა
19. შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, სტუდენტებს ვაძლევ სათანადო უკუკავშირს, რაც გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის
    ა) სრულად ვეთანხმები
    ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები

20. ჩემი არყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილია მოდულის შეუფერხებლად განხორციელება
    ა) დიახ
    ბ) არა
21. შეგქმნიათ თუ არა პრობლემა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას?
    ა) დიახ
    ბ) არა
22. წინა კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რა პრობლემა შეგექმნათ?
    ---
23. გყოლიათ თუ არა სსსმ ან შშმ სტუდენტი?
    ა) დიახ
    ბ) არა
24. წინა კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში რამდენად მოახდინეთ სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებებისთვის?
    ---
25. რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ორგანიზებით?
    ა) სრულად კმაყოფილი ვარ
    ბ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ
    გ) არ ვარ კმაყოფილი
26. თქვენი დაკვირვებით რამდენად აქტიურად თანამშრომლობენ კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები ერთმანეთთან?
    ---
27. რამდენად ეფექტურია კოლეჯში პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები?
    ა) ეფექტურია
    ბ) არ არის ეფექტური
    გ) ნაწილობრივ ეფექტურია
28. რამდენად მისაღებია თქვენთვის საქმიანობის შეფასების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მექანიზმები?
    ა) სრულად მისაღებია
    ბ) არ არის მისაღები
    გ) ნაწილობრივ მისაღებია
29. აფასებს თუ არა ობიექტურად შიდა მხარდაჭერის ჯგუფი თქვენი საქმიანობის ხარისხს?
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
30. უზრუნვეყოფს თუ არა კოლეჯი ეთიკის ნორმების დაცვას?
    ა) დიახ
    ბ) არა
    გ) ნაწილობრივ
31. რამდენად კარგად იცნობთ კოლეჯის:
    - მისიას, ღირებულებებს და ხედვას
    - შიდა მარეგულირებელ აქტებს
    - ვებ-გვერდს

- სოციალური მედიის გვერდებს

ა) სრულად ვიცნობ
ბ) ნაწილობრივ ვიცნობ
გ) არ ვიცნობ

32. ჩართული ვიყავი კოლეჯის სტრატეგიული ან/და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
33. კოლეჯის ადმინისტრაციასთან კონტაქტი ჩემთვის იოლია (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კომენტარი)
ა)დიახ
ბ)არა
34. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ვიღებ ადმინისტრაციისგან შესაბამის დახმარებას. (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კომენტარი)
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
დ) სხვა
35. დაწესებულება ზრუნავს ჩემს პროფესიულ განვითარებაზე (დადებითი პასუხის შემთხვევაში მოიყვანეთ მაგალითი)
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
დ) სხვა
36. გიტარდებათ თუ არა ტრენინგები ადმინისტრაციის მხრიდან საჭიროებების შესაბამისად
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
37. კოლეჯი დროულად მაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსების/პროექტების /კონფერენციების შესახებ?
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
38. კოლეჯში ხელმისაწვდომია კარგი ხარისხის ინტერნეტი
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
39. რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი მომსახურება და ა.შ.)
ა) სრულად კმაყოფილი ვარ
ბ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ
გ) არ ვარ კმაყოფილი
40. ნებისმიერ დროს შემიძლია გამოვიყენო კომპიუტერების ოთახი, პრინტერის/ქსეროქსის აპარატი

ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ

41. გვიტარდება ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების და უსაფრთხოების წესების შესახებ?
ა)დიახ
ბ)არა

42. კოლეჯში თავს უსაფრთხოდ და დაცულად ვგრძნობ
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

43. კოლეჯში დაცულია ჰიგიენის ნორმები და სველი წერტილები მოწესრიგებულია (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კომენტარი)
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ
დ) სხვა

44. კოლეჯის აუდიტორიები და შენობა/ეზო ყოველთვის სუფთა და მოწესრიგებულია
ა)დიახ
ბ)არა
გ)ნაწილობრივ

45. გთხოვთ მონიშნოთ, რა თემაზე ისურვებდით ტრენინგის გავლას?
ა) კალენდარული გეგმისა შემუშავება
ბ) შეფასების უწყისის შედგენა
გ) მოდულის სტრუქტურა და შინაარსი
დ) საოფისე პროგრამების გამოყენება (word, excel, power point)
ე) მეილისა და გუგლს დრაივის გამოყენება
ვ) თანამედროვე სწავლების მეთოდები
ზ) შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია და ვერიფიკაცია
თ) ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ.
ი) სხვა

დანართი 3

პროფესიული მასწავლებლის შეფასების კითხვარი სტუდენტების მეირ

სასწავლო წელი: _____

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: _____

მოდული: _____

მასწავლებელი: _____

გთხოვთ შეაფასოთ თითოეული მასწავლებელი შემდეგი კრიტერიუმებით: (შეფასების სკალა: 1 - ძალიან ცუდი, 2 - ცუდი, 3 - საშუალო, 4 - კარგი, 5 - ძალიან კარგი)

1. მასალის გადმოცემის უნარი 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○
2. სტუდენტებთან კომუნიკაცია 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○
3. დროის ეფექტური მართვა 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○
4. პრაქტიკული სავარჯიშოების ხარისხი 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○
5. უკუკავშირის მიწოდება 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○
6. სასწავლო რესურსების მიწოდება 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○
7. ინდივიდუალური კონსულტაციების ხელმისაწვდომობა 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○

კომენტარი: _____

დანართი 4

პერსონალის შეფასების კითხვარი

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
გამართულად ასრულებს სამუშაოს														
პუნქტუალურია														
პასუხისმგებლიანია														
ეფექტურად იყენებს რესურსებს														
ფლობს საჭირო თეორიულ ცოდნას														
მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე														
გათვითცნობიერებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა														
ფლობს საჭირო ტექნიკურ უნარ-ჩვევებს														
ეფექტურად ურთიერთობს კოლეგებთან														
იღებს კონსტრუქციულ უკუკავშირს														
აქვს გუნდური მუშაობის უნარი														
ზრდის გუნდის პოზიტიურ ატმოსფეროს														
გამოხატავს ახალ ოდეებსა და წინადადებებს														
მზად არის														

ცვლილებებისთვის														
ეძებს გაუმჯობესების გზებს														
აქვს პრობლემური სიტუაციების გადაჭრის უნარი														

დანართი 5

პერსონალის კმაყოფილების კვლევა

1 არის მინიმალური, ხოლო **5**- მაქსიმალური შეფასება

	კ ი თ ხ ვ ე ბ ი	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
1.	რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები კოლეჯის მმართველ რგოლებთან					
2.	რამდენად კმაყოფილი ხართ ინვენტარით, რომელსაც იყენებთ					
3.	რამდენად კმაყოფილი ხართ სხვა/დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ)					
4.	რამდენად იცავს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს					
5.	რამდენად იცავს კოლეჯი თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს					
6.	რამდენად მისაღებია თქვენთვის კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო ზოგადად					
7.	რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები სხვა პერსონალთან					
8.	პირადად თქვენ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ კოლეჯის სხვა პერსონალთან					
9.	რამდენადაა დაცული კოლეჯში უსაფრთხოების ნორმები					
10.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიცირება, დიზაინი და ა.შ.)					
11.	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს სამუშაო ოთახში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიცირება, დიზაინი და ა.შ.)					
12.	რამდენად შეესაბამება თქვენი მატერიალურ-ტექნიკური სამუშაო გარემო დადგენილ სტანდარტებს					
13.	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამსახურებრივი პოზიციით					

14.	რამდენად კმაყოფილი ხართ საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი მომსახურება და ა.შ.)					
15.	რამდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები					
16.	რამდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები					
17.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი იმას, რომ მუშაობის პერიოდში პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად					
18.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თანამშრომელთა მიერ ეთიკის ნორმების დაცვას					
19.	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით					
20.	რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში მუშაობით					
21.	რამდენად ობიექტურად ხდება პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება					
22.	რამდენად მისაღებია კოლეჯში მოქმედი პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები					
23.	რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თქვენს მონაწილეობას სამოქმედო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში)					
24.	თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენად ხართ ჩართული კოლეჯის გადაწყვეტილებების მიღებაში					

25. ვიცნობ კოლეჯის მისიას, ღირებულებებს, ხედვას, სტრატეგიული განვითარების გეგმას
    ა) დიახ
    ბ) არა
26. ვიზიარებ კოლეჯის მისიას, ღირებულებებს, ხედვას, სტრატეგიული განვითარების გეგმას
    ა) დიახ
    ბ) ნაწილობრივ
    გ) არა
27. ჩართული ვიყავი კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები
    ა) სრულად ვეთანხმები
    ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
    გ) არ ვეთანხმები
28. მონაწილეობას ვღებულობ კოლეჯის სამოქმედო გეგმების შედგენაში
    ა) დიახ
    ბ) ნაწილობრივ
    გ) არა

29. კოლეჯი ყოველთვის მაძლევს საშუალებას გამოვთქვა უკუკავშირი სამოქმედო გეგმის პროექტზე
    ა) დიახ
    ბ) ნაწილობრივ
    გ) არა
30. დაწესებულება ზრუნავს ჩემს პროფესიულ განვითარებაზე
    ა) დიახ
    ბ) ნაწილობრივ
    გ) არა
31. **თქვენი რეკომენდაციები და იდეები:** (გთხოვთ, დაწვრილებით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები, იდეები ან ნებისმიერი პრობლემა და პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვა.

დანართი 6

პარტნიორის/დამსაქმებლის კითხვარი

1. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ორგანიზაციის/კომპანიის/საწარმოს დასახელება
   ---
2. ორგანიზაციის ტიპი:

   ა) საჯარო სამსახური
   ბ) კერძო კომპანია
   გ) არასამთავრობო ორგანიზაცია
   დ) საერთაშორისო ორგანიზაცია
   ე) სხვა ----------
3. ორგანიზაციის საქმიანობის სფერო

   ა) ფინანსები და საბანკო საქმე
   ბ) ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება
   გ) კომერცია/ საბითუმო და საცალო ვაჭრობა
   დ) განათლება/მეცნიერება /ტრენინგი
   ე) მარკეტინგი/პიარი
   ვ) ტრანსპორტი/კავშირგაბმულობა
   ზ) საინფორმაციო ტექნოლოგიები
   თ) სხვა ----------
4. გთხოვთ მიუთითოთ რომელი პროგრამის/ების ფარგლებში თანამშრომლობთ კოლეჯთან?

   ---
5. რა ტიპის თანამშრომლობა გაკავშირებთ კოლეჯთან?

   ა) ვასაქმებთ კოლეჯის კურსდამთავრებულებს
   ბ) კოლეჯის სტუდენტები ჩვენთან გადიან პრაქტიკებს
   გ) კოლეჯის სტუდენტებისთვის ვაწყობთ მასტერკლასებს
   დ) კოლეჯის სტუდენტები ჩვენთან მოდიან სასწავლო ექსკურსიაზე
   ვ) სხვა----------
6. დაგისაქმებიათ თუ არა კოლეჯის კურსდამთავრებული?

   ა) დიახ
   ბ) არა
7. წინა კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი თქვენს დაწესებულებაში კოლეჯის კურსდამთავრებულების მიღებისას? (დასაშვებია რამდენიმე ვარიანტი)

   ა) კოლეჯის იმიჯი
   ბ) კოლეჯის სპეციალისტის მომზადების დონე
   გ) კოლეჯთან თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება
   დ) კოლეჯის კარიერული მხარდაჭერის ცენტრის რეკომენდაცია
   ე) კოლეჯის მასწავლებლების რეკომენდაცია
   ვ) სხვა ----------
8. როგორ შეაფასებდით კოლეჯთან თანამშრომლობას პროფესიული პროგრამების ფარგლებში?

   ა) თანამშრომლობა სასარგებლოა ორივე მხარისთვის

ბ) თანამშრომლობა ჩვენი დაწესებულებისთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანია
გ) თანამშრომლობა კოლეჯისთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანია
დ) სხვა ----------

9. გსურთ თუ არა კოლეჯთან თანამშრომლობა მომავალშიც?

ა) დიახ
ბ) არა

10. თქვენი შეფასებით, რამდენად საჭიროა პროფესიული პროგრამების არსებობა შრომის ბაზრისთვის?

ა) ძალიან საჭიროა
ბ) საჭიროა
გ) არ არის საჭირო
დ) სხვა ----------

11. ზოგადად, თუ შევაფასებთ კოლეჯის კურსდამთავრებულებს, რამდენად კვალიფიციური კადრს ზრდის კოლეჯი?

ა) კვალიფიციურს
ბ) არაკვალიფიციურს
გ) ნაწილობრივ კვალიფიციურს

12. თქვენი აზრით, რა ხარვეზები აქვთ კოლეჯის კურსდამთავრებულებს პროფესიული მზაობის თვალსაზრისით? (დასაშვებია პასუხის რამოდენიმე ვარიანტი)

ა) თეორიული ცოდნა
ბ) პრაქტიკული სამუშაოსთვის მზაობა / უნარები, დამოუკიდებლობა/ინიციატივა
გ) პასუხისმგებლობის უნარი
დ) გუნდური მუშაობის უნარი
ე) რეპრეზენტაბელურობა მშობლიურ და უცხო ენებზე
ვ) კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროფესიული მზაობა სავსებით გვაკმაყოფილებს
ზ) სხვა_____

13. საჭიროების შემთხვევაში ხართ თუ არა ჩართული სასწავლო პროცესში მიმდინარე ცვლილებების განხორციელებაში?

ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

14. თქვენი კომენტარი/შენიშვნა/რეკომენდაცია

დანართი 7

კურსდამთავრებულის კითხვარი

1. ასაკი
   ა)14-20
   ბ) 21-30
   გ) 31-40
   დ) 41-50
   ე) 50+
2. სქესი
   ა) მდედრობითი
   ბ) მამრობითი
3. რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდით?
   ა) აღმზრდელი
   ბ) საექთნო განათლება
   გ) ინფორმაციის ტექნოლოგია
   დ) საფინანსო სერვისები
4. ხართ თუ არა დასაქმებული?
   ა) დიახ, კოლეჯში მინიჭებული კვალიფიკაციით
   ბ) დიახ, სხვა პროფესიით
   გ) არა
5. წინა კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ დაუსაქმებლობის მიზეზი:
   ა) ოჯახური მდგომარეობა
   ბ) ვერ ვშოულობ სამსახურს
   გ) არ მაქვს სათანადო ცოდნა
   დ) სხვა ----------
6. ამ ეტაპზე, დაინტერესებული ხართ თუ არა დასაქმებით?
   ა) დიახ, დაინტერესებული ვარ მხოლოდ ჩემი პროფესიით
   ბ) დიახ, დაინტერესებული ვარ, პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს
   გ) არ ვარ დაინტერესებული
7. რა შემაფერხებელი ფაქტორები გხვდებათ სამსახურის ძიების პროცესში?
   ა) უცხო ენების არასათანადო დონეზე ცოდნა;
   ბ) პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობა;
   გ) კომპიუტერული უნარ-ჩვევების არასათანადო ფლობა
   დ) სხვა ----------
8. მე-4 კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ თქვენი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება
   ა) 300 ლარზე ნაკლები
   ბ) 300 – 750
   გ) 800 – 1050
   დ) 1100 - 1500
   ე) 1500 ლარზე მეტი
9. შეესაბამება თუ არა კოლეჯში მიღებული განათლების შედეგები თქვენს მოლოდინებს?
   ა) დიახ

ბ) არა
გ) ნაწილობრივ

10. რამდენად საკმარისი იყო თეორიული მეცადინეობების საათები?
ა) საკმარისი იყო
ბ) არ იყო საკმარისი
გ) ნაწილობრივ საკმარისი იყო
11. რამდენად საკმარისი იყო პრაქტიკული მეცადინეობების საათები?
ა) საკმარისი იყო
ბ) არ იყო საკმარისი
გ) ნაწილობრივ საკმარისი იყო
12. რას შეცვლიდით სასწავლო გეგმაში?
ა) შევამცირებდი მოდულის განხორციელების დროს კვირეული გაზრდის ხარჯზე
ბ) მხოლოდ მოდულის დასრულების შემდეგ დავიწყებდი შემდეგ მოდულს
გ) სხვა ----------
13. როგორ შეაფასებთ სასწავლო პროცესთან და მასწავლებლებთან/ინსტრუქტორებთან დაკავშირებულ ქვემოთ წარმოდგენილ ასპექტებს? (შეაფასეთ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 - ძალიან კარგი)
    - სწავლების ხარისხი
    - მასწავლებლების/ინსტრუქტორების კვალიფიკაცია
    - მასწავლებლებთან/ინსტრუქტორებთან კონსულტაცია
    - კავშირი თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს შორის
14. რამდენად შეიძინეთ/განივითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში? (შეაფასეთ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 არის საერთოდ არ განმივითარებია, ხოლო 5 - საფუძვლიანად განვივითარე)
    - პროფესიული ცოდნა
    - პროფესიული უნარები
15. კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს დასაქმებას?
ა) დიახ
ბ) არა
გ) სხვა
16. შეესაბამება თუ არა პროგრამის მიზნები, რომელზეც სწავლობდით თქვენს სფეროში შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
17. სწავლის პერიოდში იღებდი თუ არა ინფორმაციას იმ ვაკანსიების შესახებ, რომელიც თქვენს სფეროს ეხებოდა?
ა) დიახ
ბ) არა
18. იმართებოდა თუ არა კოლეჯში დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებები?
ა) დიახ
ბ) არა
გ) არვიცი

19. იყავით თუ არა ჩართული კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილ დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში?
    ა) დიახ
    ბ) არა
20. ჩამოთვლილი პიროვნული უნარებიდან, კოლეჯმა თქვენი რომელი უნარების განვითარებას შეუწყო ხელი?
    ა) გუნდური მუშაობა
    ბ) ლიდერაობა
    გ) კომუნიკაცია
    დ) სხვა ----------
21. დაგეხმარათ თუ არა კოლეჯი დასაქმებაში?
    ა) დიახ
    ბ) არა
22. რომელი კომპონენტი გამოგადგათ დასაქმებაში?
    ა) თეორიული
    ბ) პრაქტიკული
    გ) ორივე ერთად
    დ) არც ერთი
    ე) არ ვმუშაობ
23. კოლეჯის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძეთ თუ არა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე?
    ა) დიახ
    ბ)არა
24. თქვენი აზრით, რა მიმართულებით უნდა გააძლიეროს კოლეჯმა მუშაობა, იმისთვის რომ ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას?